საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა № 07-01/23

ქ.ბათუმი **20 აპრილი, 2022 წელი**

ბსუ-ში სასწავლო სოციალური პროგრამის „სტუდენტთა შეღავათები სწავლის საფასურში“განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-10 მუხლის, 43-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ი'' ქვეპუნქტის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2022 წლის 15 აპრილის N395840 სამსახურებრივი ბარათის, წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დამტკიცდეს ,,ბსუ-ში სასწავლო სოციალური პროგრამის „სტუდენტთა შეღავათები სწავლის საფასურში“ განხორციელების თანდართული წესი **(დანართი 1).**
2. **ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი** ,,სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სპეციალური სასწავლო სოციალური პროგრამის „სტუდენტთა შეღავათები სწავლის საფასურში“ განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ **ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 09 მარტის N04 გადაწყვეტილება.**
3. წინამდებარე გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველებში ,,საუნივერსიტეტო ნორმატიული აქტები“ და ,,სტუდენტის გზამკვლევი“).
4. წინამდებარე გადაწყვეტილება სტუდენტთათვის საჯარო გამოცხადების მიზნით გავრცელდეს სტუდენტური პორტალის მეშვეობით.
5. გადაწყვეტილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
6. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
7. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,

პროფესორი **დ. ბარათაშვილი**

ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს
2022 წლის 20 აპრილის N07-01/23 გადაწყვეტილების
დანართი 1

ბსუ-ში სასწავლო სოციალური პროგრამის „სტუდენტთა შეღავათები სწავლის საფასურში“ განხორციელების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესის შესაბამისად საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდეგში ,,ბსუ“/,,უნივერსიტეტი“) ხორციელდება სასწავლო სოციალური პროგრამა „სტუდენტთა შეღავათები სწავლის საფასურში“ (შემდეგში -პროგრამა).
2. პროგრამის მიზანია ბსუ-ს სტუდენტთათვის, წინამდებარე წესში აღნიშნული რომელიმე **ფაქტობრივი გარემოების (შემდეგში - სოციალური კატეგორია)** და ჩატარებული კონკურსის შედეგების გათვალისწინებით, ბსუ-ში სწავლის სემესტრულ საფასურში (მხოლოდ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების ფარგლებში) სრული ან ნაწილობრივი შეღავათის მინიჭება.
3. კონკურსში მონაწილეობა შეუძლია ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე ჩარიცხულ, საქართველოს მოქალაქეობის მქონე ბსუ-ს საბაკალავრო, მედიცინის მიმართულებით ერთსაფეხურიანი, დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტებს, **სწავლების მე-2 სემესტრიდან.**
4. **კონკურსში მონაწილეობის მიღება არ შეუძლიათ:**

ა) დამატებითი სემესტრის (ვადაგაგრძელებულ) სტუდენტებს;

ბ) სტუდენტს, რომელსაც წინა სემესტრის მონაცემებით არ აქვს ათვისებული სულ მცირე 25 კრედიტი;

გ) სტუდენტს, რომელმაც წინა სემესტრის მონაცემებით შეასრულა შესაბამისი საგანმანთლებლო პროგრამის მოთხოვნები და მიენიჭა (ან უნდა მიენიჭოს) აკადემიური ხარისხი;

5. წინამდებარე წესის შესაბამისად აქტიური სტუდენტის სტატუსის მქონე პირს **შეღავათი ენიჭება ერთი სემესტრის განმავლობაში,** კონკურსის შედეგების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს ერთი კვირისა.
6. პროგრამის განხორციელებას ადმინისტრირებას უწევს (კონკურსის გამოცხადება, ორგანიზება, ჩატარება, კონკურსანტთა განაცხადების/საკონკურსო მასალების დამუშავება და შენახვა, კონკურსანტების მონაცემთა ბაზის წარმოება, კონკურსის გამოცხადების/შედეგების შესახებ სტუდენტთა ინფორმირება, შეღავათის

მინიჭების სამართლებრივი აქტის მომზადება და სხვა) ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი (შემდეგში - ,,სტუდენტთა დეპარტამენტი“).

მუხლი 2. კონკურსის გამოცხადება, შეღავათის ოდენობა და პროგრამაში მონაწილე სტუდენტები

1. პროგრამის განხორციელების მიზნით **შესაბამის სემესტრში** ცხადდება კონკურსი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით, რომელშიც მიეთითება: სტუდენტთა განცხადებებისა და დოკუმენტების წარმოდგენის, განხილვის, გადაწყვეტილების მიღების ვადები, პროგრამით დადგენილი შეღავათის საერთო რაოდენობა.
2. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, რექტორთან შეთანხმებით ამტკიცებს შესაბამის სემესტრში სტუდენტებისათვის გასაწევი შეღავათის საერთო ოდენობას (მათ შორის თითოეული შეღავათის კატეგორიისათვის), ყოველი კონკურსის გამოცხადებამდე ან კონკურსის გამოცხადების სამართლებრივი აქტით.
3. პროგრამის ფარგლებში შეღავათი შეიძლება მოიპოვოს **(სოციალური კატეგორიის მქონე პირები):**

ა) სტუდენტმა, რომელიც არის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების და სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების ვეტერანი ან მათი შვილი ან/და არის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულთა, უგზო-უკვლოდ დაკარგულთა და მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილის შვილი;
ბ) სტუდენტმა, რომელიც არის მარტოხელა მშობელი ან თავად არის ან იყო მარტოხელა მშობლის შვილი;
გ) სტუდენტმა, რომელიც რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მისი ოჯახის სარეიტინგო ქულა ტოლია ან ნაკლებია 100 000-ზე;
დ) სტუდენტმა, რომელიც იმყოფება ან **ბოლო 3 წლის განმავლობაში** იმყოფებოდა **სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ** (სააღმზრდელო საქმიანობის განმახორციელებელთან, მიუხედავად მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა და დაფინანსების წყაროსი)/**მინდობით აღზრდაში.**
ე) სტუდენტმა, რომელიც არიან მრავალშვილიანი ოჯახის (ოთხი და მეტი შვილით) წევრი;
ვ) სტუდენტმა, რომელსაც მინიჭებული აქვს იძულებით გადაადგილებული პირის - დევნილის სტატუსი;
ზ) სტუდენტმა, რომელსაც მინიჭებული აქვს ეკომიგრანტის (სტიქიით დაზარალებული) სტატუსი;
თ) სტუდენტმა, რომლის და/ძმა/მეუღლე ასევე არის ბსუ-ს სტუდენტი.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა“-,,თ“ ქვეპუნქტებში აღნიშნული სოციალური კატეგორიის დამადასტურებელი (შეღავათის მინიჭებისათვის საჭირო) დოკუმენტაცია შეიძლება იყოს:

ა) უფლებამოსილი უწყების (წინამდებარე წესის დამტკიცების დროისათვის - სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის) მიერ გაცემული დოკუმენტი, რითაც დასტურდება, რომ სტუდენტი არის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაღუპულის შვილი ან ცნობა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან - მშობლის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში უგზოუკვლოდ დაკარგულად აღიარების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის მიერ გაცემული დოკუმენტი, რითაც დასტურდება, რომ სტუდენტი არის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების და სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების ვეტერანი ან მათი შვილი;

ბ) შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება მარტოხელა მშობლის სტატუსი;

გ) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის მოწმობის ასლი (სარეიტინგო ქულა ტოლია ან ნაკლებია 100 000 –ზე);

დ) შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ ყოფნის ფაქტი და პერიოდი;

ე) მრავალშვილიანი (ოთხი და მეტი შვილით) ოჯახის წევრი სტუდენტისა და მისი და-ძმების პირადობისა და დაბადების მოწმობის ასლები;

ვ) შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული ცნობა, იძულებით გადაადგილებული პირის (დევნილის) სტატუსის მინიჭების შესახებ;

ზ) შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული ცნობა, ეკომიგრანტის (სტიქიით დაზარალებული) სტატუსის მინიჭების შესახებ.

თ) სტუდენტმა, რომლის მეუღლე/და/ძმა ასევე არის ბსუ-ს სტუდენტი - და/ძმის დაბადების მოწმობის/ქორწინების მოწმობის ასლები.

მუხლი 3. კონკურსში მონაწილეობისათვის წარმოსადგენი დოკუმენტაცია

1. პროგრამაში მონაწილეობის (შეღავათის მიღების) უფლების მისაღებად სტუდენტებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ კონკურსში და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით დადგენილ ვადაში და წესით (მატერიალური ან/და ელექტრონული სახით) ბსუ-ს პორტალის/ბსუ-ს საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის მეშვეობით უნდა წარმოადგინონ:

ა) განცხადება (შევსებული კონკურსის გამოცხადების შესახებ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად);

ბ) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის და დაბადების მოწმობის ასლი;

გ) ფაკულტეტის მიერ გაცემული ცნობა სტუდენტის აკადემიური მოსწრების შესახებ (ცნობა გაიცემა მხოლოდ სტუდენტის აქტიურ სტატუსში მყოფ პირებზე);

დ) სოციალური კატეგორიის დამადასტურებელი (შეღავათის მინიჭებისათვის საჭირო) დოკუმენტაცია.

2. საკონკურსო ვადებში წარმოდგენილი სტუდენტთა განცხადებები და დოკუმენტაცია, ვადის ამოწურვიდან არაუგვიანეს მე-2 სამუშაო დღისა, სტუდენტთა დეპარტამენტის მიერ გადაეცემა საკონკურსო კომისიას, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

მუხლი 4. საკონკურსო კომისია

1. პროგრამის განხორციელებისა და კონკურსის ჩატარების მიზნით ბსუ-ს სტუდენტთა დეპარტამენტის ინიციატივითა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით იქმნება კომისია არანაკლებ 5 წევრის შემადგენლობით. კომისიის წევრი შეიძლება იყოს ბსუ-ს პერსონალის, ფაკულტეტებისა და სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელი.
2. კომისიის წევრი ვალდებულია საკონკურსო კომისიის მუშაობის დაწყებამდე წინასწარ განაცხადოს ყველა იმ გარემოების თაობაზე, რომელმაც შეიძლება მას ხელი შეუშალოს კონკურსანტის ობიექტურად შეფასებასა და გადაწყვეტილების მიუკერძოებლად გამოტანაში. ასეთი გარემოების არსებობისას, კომისიის წევრი ვალდებულია, განაცხადოს თვითაცილება, შესაბამისად, ის ვერ მიიღებს მონაწილეობას კომისიის საქმიანობაში.
3. თუ კომისიის წევრი არ განაცხადებს თვითაცილებას/ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული გარემოების არსებობის შესახებ, ხოლო აღნიშნულის შესახებ კომისიისათვის ცნობილი გახდება კონკურსის მიმდინარეობისას, კომისიის ამ წევრის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ იქნება გათვალისწინებული საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას.
4. კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი, მაგრამ არანაკლებ 3 წევრისა.
5. კომისია გადაწყვეტილებას იღებს ღია კენჭისყრით. გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს სხდომაზე დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტად ჩაითვლება კომისიის თავმჯდომარის ხმა.
6. კომისია პირველ ეტაპზე აფასებს სტუდენტთა მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას და წინამდებარე წესის **მე-6 მუხლის მე-2 პუნქტში** აღნიშნული რომელიმე საფუძვლის შემთხვევაში იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი სტუდენტის კონკურსიდან მოხსნის თაობაზე.
7. საკონკურსო კომისია განიხილავს კონკურსანტთა განაცხადებსა და წარმოდგენილ დოკუმენტაციას წინამდებარე წესით დადგენილი შეფასების კრიტერიუმების მიხედვით **და** იღებს გადაწყვეტილებას სტუდენტთათვის შეღავათის კატეგორიის მინიჭების თაობაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადაში.

მუხლი 5. შეფასების კრიტერიუმები და შეღავათის კატეგორიები

1. პროგრამის მიხედვით შეღავათის მინიჭებისათვის შეფასების კრიტერიუმია კონკურსანტის აკადემიური მოსწრება (სასწავლო პროცესში მიღებული შეფასებები),

კერძოდ, წინა სემესტრში (როგორც ძირითადი ან/და დამატებითი პროგრამით ან/და საკუთარი ინიციატივით დარეგისტრირებული თავისუფალი კომპონენტში/სასწავლო კურსში) მიღებული ,,საშუალო შეწონილი'' ქულა ტოლი ან მეტი უნდა იყოს 71 - ზე.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმის შესაბამისად საკონკურსო კომისია გამოავლენს კონკურსანტებს, რომლებსაც შეიძლება მიენიჭოთ შეღავათი:

ა) პირველი კატეგორიის შეღავათი - სემესტრული სწავლის საფასურის 100 % - ის ოდენობით - სტუდენტს, რომელსაც წინა სემესტრში (როგორც ძირითადი ან/და დამატებითი პროგრამით ან/და საკუთარი ინიციატივით დარეგისტრირებული თავისუფალი კომპონენტში/სასწავლო კურსში) მიღებული აქვს ,,საშუალო შეწონილი'' ქულა ტოლი ან მეტი 91 - ზე;

ბ) მეორე კატეგორიის შეღავათი - სემესტრული სწავლის საფასურის 70%-ის ოდენობით - სტუდენტს, რომელსაც წინა სემესტრში (როგორც ძირითადი ან/და დამატებითი პროგრამით ან/და საკუთარი ინიციატივით დარეგისტრირებული თავისუფალი კომპონენტში/სასწავლო კურსში) მიღებული აქვს ,,საშუალო შეწონილი'' ქულა ტოლი ან მეტი 81 - ზე.

გ) მესამე კატეგორიის შეღავათი - შეღავათი სემესტრული სწავლის საფასურის 35%-ის ოდენობით - სტუდენტს, რომელსაც წინა სემესტრში (როგორც ძირითადი ან/და დამატებითი პროგრამით ან/და საკუთარი ინიციატივით დარეგისტრირებული თავისუფალი კომპონენტში/სასწავლო კურსში) მიღებული აქვს ,,საშუალო შეწონილი'' ქულა ტოლი ან მეტი 71 - ზე.

3. თუ შედეგების მიხედვით ორ ან მეტ სტუდენტს მიღებული აქვს თანაბარი ქულები, უპირატესობა მიენიჭება წინა სემესტრების საშუალო შეწონილ ქულას.
4. პროგრამით გამოყოფილი შეღავათის ოდენობა ნაწილდება კატეგორიების მიხედვით. სტუდენტი, რომელიც ერთდროულად აკმაყოფილებს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ორ ან ორზე მეტ შეღავათის კატეგორიას, განაცხადის განხილვა მოხდება რიგითობის მიხედვით (პირველი, მეორე და მესამე კატეგორია).
5. იმ შემთხვევაში, თუკი შესაბამისი კატეგორიის შეღავათის თანხა სრულად არ გადანაწილდა კონკურსანტებზე (არ იქნა ათვისებული), დარჩენილი ოდენობა თანმიმდევრობით გადანაწილდება მომდევნო შეღავათის კატეგორიაზე.

მუხლი 6. კონკურსის შედეგები და შეღავათის მინიჭების სამართლებრივი აქტი

1. საკონკურსო კომისიის საბოლოო გადაწყვეტილების საფუძველზე სტუდენტთა დეპარტამენტი კონკურსის შედეგების შესახებ სამსახურებრივ ბარათს (კონკურსანტთა თავდაპირველი მონაცემების, საკონკურსო მასალების მიხედვით სტუდენტთა სოციალური კატეგორიების, კონკურსიდან მოხსნილი/გამარჯვებული/საუკეთესო შედეგების მქონე მომდევნო კონკურსანტების შესახებ ინფორმაციას) და სამართლებრივი აქტის პროექტს წარუდგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს.
2. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი გამოსცემს ბრძანებას აქტიური სტუდენტის სტატუსის მქონე ბსუ-ს სტუდენტთათვის სწავლის საფასურში შეღავათის მინიჭების თაობაზე.

3. კონკურსის შედეგების გათვალისწინებით საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით/ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით **შეღავათი მიენიჭება მომდევნო საუკეთესო შედეგის მქონე კონკურსანტს, თუკი:**

ა) კონკურსანტი უარს იტყვის კონკურსში მონაწილეობაზე/შეღავათის გავრცელებაზე;

ბ) დადგინდება/გამოვლინდება, რომ კონკურსანტი/კონკურსში გამარჯვებული სტუდენტი იღებს დაფინანსებას სხვა წყაროდან (სახელმწიფოს, ბსუ-ს ან/და მესამე პირებისაგან);

გ) კონკურსანტს შეუჩერდება ან შეუწყდება ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი კონკურსის საბოლოო შედეგების გამოცხადებამდე.